ოქროს ფეტიში საქართველოში და ღვთაება ოდი - ქართველთ ღვთაება

მილორდ სიჭინავა, *სტუ-ს სრული პროფესორი*

რეზიუმე

სტატია ეძღვნება ღვთაება ოდის, როგორც ქართველთ ღვთაების კულტის აღმოცენებასა და გაბატონებას საქართველოში. ავტორის აზრით, ღვთაება ოდი არის იგივე ქართველი ზევსი. ესაა ჭექა-ქუხილის, ცა-ღუბლისა და ავდარ-ტაროსის ძველი ქართველური ღვთაების — ობი (სიტყვასიტყვით: ღვარე, აწვიმე და ა. შ. კოლხურად), ვ ო ბ ი, ვ ე ბ ი, ვ ო უ და სხვ. სახეშეცვლილი ფორმა, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო ოქროს ფულად გადაქცევისა და მისი გაფეტიშების შედეგად ძველ საქართველოში.

ძველი ღვთაებები სხვა ხალხებში: დიოსი — ძველ ბერძნულში, ოდი — ძველ სკანდინავიაში (კერძოდ, ვიკინგებში), ოგდი — ტუნგუსკებში (ციმბირში) და სხვ., ავტორის აზრით, შეიძლება ოქროსთვის სწორედ საქართველოდანათასწლეულთა წინათ მოსახლეობის დიდი მიგრაციების შედეგს წარმოადგენდეს.

Summary

This article is devoted to the problem of origin and domination of the deity Odi in Georgians. The author thinks that Odi played the same role in old Georgia as Zeus did in old Greece. It is the modified form of old Georgian Obi (literally: let it pour, let it rain – in Colchian), Vobi, Vebi, Vou and so forth. This might be happened because of the process of transformation of gold into money in old Georgia.

Old deities: Dios – in old Greece, Odi – in Scandinavia (particularly among Vikings), Odin and Wôdan in North Europe (particularly in Germany), Ogdi – among Tunguska Peoples (in Siberia) and so forth – according to author's opinion - should be considered as results of great transmigration of peoples for gold from old Georgia millennia ago.

****

მსოფლიოს ხალხთა უცხოენოვან მითოლოგიურ ლექსიკონებში ღვთაება ოდი,როგორც წესი, მიჩნეულია არაქართველურ ღვთაებად, მაგრამ სინამდვილეში აღნიშნულ ღვთაებას საკმაოდ ღრმა და მყარი ფესვები მოეძებნება ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებში. თანაც თითქოსდა იგი დაკავშირებულია, როგორც ჩანს, არა მარტო მიწის დამუშავების პროცესთან, არამედ აგრეთვე საერთოდ ღირებულების ფულადი ფორმის წარმოშობისა და, სახელდობრ, ოქროს სიმდიდრის ფულად გადაქცევისა და მისი გაფეტიშების პროცესთან.

ღვთაება ოდის კულტის აღმოცენების (ასევე თავად ტერმინის — "ოდიში" — იგივე ოდი-სი, ოდის საცხოვრებელი ადგილი, ოდის სამშობლო, ოდის ქვეყანაკოლხურად — ეტიმოლოგიის), მისი ადგილისა და როლის შესახებ ძველ ღვთაებათა ქართულ პანთეონში არსებობს არაერთი შეხედულება, რომ იგი წვიმის, ავდარ-ტაროსის, მიწის, მოსავლისა და ა.შ. ღმერთია და სხვ. ამ თვალსაზრისით გაკეთებულია ერთგვარი პარალელები ძველ ღვთაებებთან: ობი (სიტყვასიტყვით: ღვარე, აწვიმე და ა.შ. კოლხურად), იგივე ვობი (ვები) სვანურში, ვოუ აფხაზურში და სხვ. და ისინი დაკავშირებულია, როგორც მიღებულია, შრომის სიმღერასთან — "ოდოია" და ასევე ცნებებთან: ოდი, დაოდვა, ოდოში და სხვ.

ასე, რომ ღვთაება ობი (ვობი, ვები, ვოუ და სხვ.), მისი ზემოაღნიშნული ვერსიით, მართლაც და ცა-ღრუბლისა და ავდარ-ტაროსის ღვთაებას, ანუ იგივე „ღრუბელთ ბატონს", მაშასადამე, იგივე „ქართველ ზევსს" უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ ღვთაება ზევსი ძველ ბერძნულ რწმენა-წარმოდგენებში იწოდება ძევსად და დიოსად, ან კიდევ ძევსი-დიოსად. ამიტომ არსებობს შეხედულება, რომ „... „ვობი" და „ვები" უნდა „დიოს"- ს ანუ „ძევს"-ს უდრიდეს. და მართლაც, ბერძნულ მითოლოგიაში „ძევსი-დიოსი" ცა-ღრუბლისა და ავდარ-ტაროსის ღვთაებად ითვლებოდა". აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, სავსებით დასაშვებიაღვთაება ობი თავად საქართველოშიც გადაქცეულიყო ღვთაებად ოდი — ტერმინს მიეღო ამგვარი ცვლილება შესაბამის მოვლენათა ცვლილების კვალდაკვალ და, ამდენად, ობის დღე ანუ იგივე ობიშხა კოლხურად ოდის ანუ ოძის, იგივე დიოსის (ზევსის) დღედ გადაქცეულიყო. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ პარასკევი ანუ ობის დღე, იგივე დიოსის (ზევსის) დღე ძველბერძნულში, ძველ ქართულში იწოდებოდა დიოსის დღედ და ასევე ოძის დღედ.

აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, სავსებით ნათელია ობის, ოძი-სა და დიოსის, იგივე ზევსის იგივეობა, მაშასადამე ის ფაქტი, რომ ძველი ბერძნული ღვთაების –ზევსის ანუ დიოსის აშკარა ქართველური შესატყვისია სახელდობრ სწორედ კოლხური ოდი ანუ, ეტყობა, ასევე ოდო, ოდოია კოლხურად.

მიუხედავად ამისა, მეცნიერებაში დღემდე არაა აზრთა ერთიანობა სახელის ოდი და, შესაბამისად, აგრეთვე ტერმინის — ოდიშიც წარმომავლობის შესახებ. ამიტომ სავსებით ბუნებრივიადაისვას კითხვა: რა გარემოებანი უნდა დასდებოდა საფუძვლად ღვთაება ობის სახელწოდების სწორედამდაგვარ ცვლილებას?

მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ ცივილიზაციის საწყის ეტაპზე ადამიანები უმეტესწილად აფეტიშებდნენ ბუნების ძალებს, მაგრამ მოგვიანებით ამგვარ ფუნქციას იძენენ აგრეთვე საზოგადოებრივი ძალებიც, რომლებიც ისევე გაურკვეველნი და აუხსნელნი რჩებიან მათთვის და ისეთივე სისასტიკითა და დაუნდობლობით უპირისპირდებიან მათ და ბატონობენ მათზე, როგორც ბუნების ძალები. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში კი ასეთი ძალა არაერთია. ერთ-ერთი ამგვარიუნიკალური საზოგადოებრივ-ეკონომიკურიმოვლენა, რომელმაც, ეტყობა, ძირფესვიანად შეცვალა ცივილიზაციის განვითარების პროცესი და,ამდენად, შესაბამისად, ასევე ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებიც, არის, როგორც ჩანს, ოქროს სიმდიდრის გადაქცევა ფულად და ღირებულების ფულადი ფორმის აღმოცენება და გაბატონება.

ოქრო თავისთავად არაა ფული. მაგრამ წარმოებისა და გაცვლის განვითარების კვალდაკვალ იგი თანდათანობით იმკვიდრებს ღირებულების საყოველთაო ექვივალენტისა დანამდვილი ფულის ფუნქციას. ამიტომ სწორედ ამდაგვარ უდიდეს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ადამიანთა ცნობიერების შესაბამისი ცვლილებაც, რომლის ერთ-ერთი უტყუარი გამოვლინებაა თითქოსდა სწორედ ღვთაება ზევსის, როგორც ფულადქცეული ოქროს ღვთაების კულტის აღმოცენება და გაბატონება ძველ ბერძნულ მითებში, რომელიც იმავდროულად ითვლება ასევე ცა-ღრუბლისა და ავდარ-ტაროსის ღვთაებად, და, ამდენად, ძველი ელადის უზენაეს ღვთაებად.

სავსებით ზუსტი ანალოგიაა ამ შემთხვევაშიც. ღვთაება ოდიც (იგივე ობი, ვობი, ვები, ვოუ და სხვ.), როგორც ცა-ღრუბლისა და ავდარ-ტაროსის ღვთაება იქცევა ასევე ისტორიულად ფულადქცეული ოქროს ღვთაებად ოქროს სიმდიდრის ფულად გადაქცევისა და ღირებულების ფულადი ფორმის აღმოცენებისა და გაბატონების კვალდაკვალ საქართველოშიც,ქართველი ერის კანონზომიერი ისტორიული განვითარების შედეგად ათასწლეულთა მანძილზე. ამასვე მოწმობს არაერთი გარემოება, განსაკუთრებითსახელის ოდი დაკავშირება სიმდიდრესა და სიდიადესთან, როგორიცაა, მაგალითად, ოდა სახლი, ოდები — იგივე ჰიმნები, დღემდე მოღწეული რიგი გამოთქმა ქართულ ენაში: “ოდითგან”, “ოდინდელი”, “ოდინის ჟამისა” და სხვ, რაც, უსათუოდ, სავსებით ზუსტი ფიქსაციაა იმ ეპოქისა, როცა სათავეს იღებს ღვთაება ოდის, ანუ, როგორც ჩანს, ქართველი ზევსის (სწორედ იმისი, რაც ზევითაა? ზენას? ზემორეს? და ა. შ. ქართულად), ზევსი-დიოსის ძველბერძნულ მითებში (იგივე “ჟინიშის”? ანუ ზემორეს? კოლხურად, ჟინიში - ოდის? — ოდის, რომელმაც შექმნა ეპოქა), ანუ იგივე ზევს-ოდოიას? თაყვანისცემა ძველ კოლხურ რწმენა-წარმოდგენებში, როგორც, ეტყობა, სწორედ ფულადქცეული ოქროს ღვთაების კულტის აღმოცენება და გაბატონება და, შესაბამისად, როგორც ჩანს, ასევე ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის აღმოცენება და განვითარებაც საქართველოში მისი შესაბამისი ყველა სპეციფიკური ატრიბუტიკით.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დაბეჯითებით ვივარაუდოთ, რომ ღვთაება ოდი, იგივე ოდო, ოდოია კოლხურად, დანამდვილებით უნდა წარმოადგენდეს საერთოდ ოქროს სიმდიდრისა და, სახელდობრ, ფულადქცეული ოქროს სიმდიდრის ღვთაებას ანუ იგივე ღვთაება ზევსის, ზევსი დიოსის წმინდა ქართველურ ვარიანტს, იგივე ჟინიში-ოდის, ზევს-ოდოიას კოლხურად. მისი კულტის აღმოცენება და გაბატონება საქართველოში, განსაკუთრებით მდინარე ენგურის აუზში, ოქრომრავლობით განთქმულ კოლხეთში, ალბათ, როგორც ჩანს, სწორედ ოდიშში (ანუ იგივე სწორედ ოდისში, სადაც იშვა და აღზევდა ოდი და საიდანაც შეძრა მსოფლიო?), ე.წ. მითოლოგიური ქრონოლოგიით, ათასწლეულთა მიღმა იღებს სათავეს. ამიტომ მისი ანალოგები (პროტოტიპები) სხვადასხვა ხალხში: საკუთრივ ოდი სკანდინავიის ქვეყნებში, სახელდობრ, სწორედ ნორვეგიაში, კერძოდ, ვიკინგთა რწმენა-წარმოდგენებში, „ოდინი”, „ვოდანი”– ჩრდილოელი ზევსი, უფრო ევროპის ჩრდილო ნაწილში, ოგდი – მდინარეების: ობისა და ანგარის აუზში, ტუნგუსკთა რწმენა-წარმოდგენებში, შორეულ ციმბირში და ა.შ., სავსებით ზუსტი სემანტიკური საზრისით, ოქროსთვის სწორედ საქართველოდან და ასევე უძველესი ცივილიზაციების იმდროინდელი სხვა ცენტრებიდან, მათ შორის თავად შუამდინარეთიდან, ხალხთა დიდი და ინტენსიური მიგრაციების ერთ-ერთ უტყუარ დასტურს უნდა წარმოადგენდეს.